[დოჟას სახელობის კლუბი (უნგრეთი)]

დოჟას სახელობის კლუბი (უნგრეთი): ა. ფაზეკაში; კ. რაინა, პ. ვინკოვიცი, ე. ფარშანგი; დ. ბრუდიჩი, დ. დიურიკი; ბ. ეგრეში, ლ. შამუში, ა. ვარაგი, გ. აშპერანი, მ. ტოტი.

“დინამო” (თბილისი): ვ. მარღანია; ვ. ელოშვილი, ნ. გოგლიძე, ჯ. რუსაძე; რ. მახარაძე, ნ. გაგნიძე; ა. კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ა. ღოღობერიძე, ა. ჭკუასელი.

მსაჯი – საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ი. ელცეკი (ჩეხოსლოვაკია).

თამაშის დაწყების პირველი წუთებიდანვე უნგრელებმა მარჯვენა ფრთაზე სულ მცირე ტერიტორიაზე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, რომელშიც ოთხი მოთამაშე მონაწილეობდა: ბრუდიჩი, ეგრეში, შმუში და ვირაგი. გოგლიძემ შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ სტუმრებმა ისევ იმ ადგილას გადმოიტანეს თამაში და თითქმის იგივე კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც კარში მოულოდნელი დარტყმით დაამთავრა ვირაგმა. ბურთი ასცდა კარს.

დინამოელებმა მაშინვე შეძლეს საპასუხო იერიშზე გადასვლა. მოედნის სიღრმიდან მიღებული ბურთი ღოღობერიძემ ოსტატურად მიიღო მკერდზე, გააჩერა იგი და მერე ბადეში გაგზავნა. მსაჯმა სამართლიანად არ ჩათვალა ბურთი თამაშგარე მდგომარეობის გამო. ერთი წუთის შემდეგ ღოღობერიძე კვლავ გარღვევაზე გავიდა და ბრუდიჩმა პირით ხაზს იქით ტყორცნა ბურთი. კუთხური მოწოდება აიღო ფაზეკაშმა და მაშინვე მიაწოდა ეგრიშის, მან უკან მოიტოვა რუსაძე და ცენტრში გადააწოდა ბურთი. მარღანიამ და ელოშვილმა ძლივს იხსნეს კარი ტოტის სახიფათო გარღვევისაგან.

თამაშის მე–8 წუთი დინამოელებისათვის მარცხიანი გამოდგა: ნ. გაგნიძემ თავისი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს თავით მიიღო ბურთი და “თავაზიანად” იქვე მიაწოდა ვირაგს. სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა მაშინვე გამოიყენა მოწინააღმდეგის ასეთი “გულუხვობა” და ძლიერად დაარტყა მაღლა კუთხეში. მარღანია არ იყო მზად და მისმა ნაგვიანებმა ნახტომმა ვერ იხსნა კარი. 1:0.

გატანილი ბურთის შემდეგ ინიციატივა მთლიანად უნგრელებმა აიღეს ხელთ. ფიზიკურად კარგად მომზადებული, მეტად მაღალტექნიკური სტუმრები თითქმის შეუცდომლად თამაშობდნენ. ყოველი მათგანი მოქმედებდა ზუსტად, მოფიქრებულად, პასუხისმგებლობის სრული გრძნობით. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი უსარგებლო დარტყმა.

თამაში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში დინამოელთა ნახევარზე მიმდინარეობდა. თბილისელთა დაცვას მძიმე მუშაობა დააწვა. რუსაძემ ვერაფერი გააწყო ეგრეშისთან, გოგლიძე შორს გაჰყვა ვირაგს, თავისი ზონაც დატოვა და მოწინააღმდეგესაც ვერაფერი მოუხერხა. განსაკუთრებით სუსტი იყო გ. გაგნიძე. მან მთელი თამაშის მანძილზე ვერ მოძებნა თავისი ადგილი მოედანზე და სინამდვილეში გამოთიშული იყო თამაშიდან.

პირველი ტაიმის შუაში დინამოელებმა შესამჩნევად გამოასწორეს თამაში და მოწინააღმდეგის მხარეს გადაინაცვლეს. ეს გარდატეხა ღოღობერიძემ მოახდინა. მან მოედნის სიღრმეში, ნახევარმცველებთან დაიხია და რამდენჯერმე მთელი მოედანი გადალახა ბურთიანად. უნგრელებმა ღოღობერიძის დასაკავებლად მეორე მოთამაშეც “მიავლინეს”, მაგრამ “დინამოს” კაპიტნის დაჭერა არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა.

30–ე წუთზე ღოღობერიძე ორ მოთამაშეს გაუსხლტა, მაგრამ ზედ კარის წინ მესამემ – ვინკოვიჩმა წააქცია – 11–მეტრიანი საჯარიმო თვით დაზარალებულმა გაიტანა – 1:1.

სამი წუთის შემდეგ "დინამოს" კარისაკენ საჯარიმო დაინიშნა. ბურთი მიიღო უმეთვალყურედ დარჩენილმა ეგრეშიმ და ახლო მანძილიდან მეორე ბურთი გაგზავნა თბილისელთა კარში – 2:1.

მეორე ტაიმი დინამოელებმა შეუნელებელი იერიშებით დაიწყეს. ისინი სწრაფად იცვლიდნენ ადგილებს, ბევრს მოძრაობდნენ და საფრთხის ქვეშ ჰყავდათ მოწინააღმდეგის კარი. მალე ანგარიში კვლავ გათანაბრდა – ელოშვილმა შორიდან გადასცა ბურთი ღოღობერიძეს, იმან კალოევს და ძლიერად დარტყმული ბურთი ბადეში გაეხვია. 2:2.

უნგრელებმა სწორი ტაქტიკური ხერხი იხმარეს: ხშირი გარდიგარდმო გადაცემებით საკუთარი ტემპი მოახვიეს თავს "დინამოს" და კვლავ დაეპატრონენ მოედანს. სწრაფი გარემარბები, აქტიური შუამარბები და ნახევარმცველები ისევ საფუძვლიანად "დასახლდნენ" მასპინძელთა კართან. მალე მარღანიამ მესამე ბურთი გამოიტანა ბადიდან – იგი დროზე არ გამოვიდა კარიდან გადაცემის ასაღებად და აშპერანმა ძნელი მდგომარეობიდან კარში ზუსტად დაარტყა.

მატჩი ანგარიშით 3:2 მოიგო დოჟას სახელობის კლუბის გუნდმა.

თბილისის "დინამომ" წელს მეორე საერთაშორისო შეხვედრა წააგო. ეს შემთხვევითი ამბავი როდია. გუნდი არ თამაშობს პასუხისმგებლობის სრული გრძნობით და მონდომებით. ნაცვლად იმისა, რომ თვითონ შესთავაზონ მოწინააღმდეგეს ტემპი, სრული ძალით იბრძოლონ გამარჯვებისათვის, თბილისელები უსისტემოდ თამაშობდნენ, მეტად სუსტად მოქმედებს დაცვა და ნახევარდაცვა. ჩვენი ქვეყნის ერთ–ერთი უძლიერესი გუნდი არ უნდა ჩამორჩეს საბჭოთა კავშირის სხვა გუნდებს, რომლებიც წარმატებით ატარებენ საერთაშორისო შეხვედრებს.

25 ოქტომბერი, 1953 წ.